

# ლტოლვილის სტატუსი

## გასაუბრება

ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურების შესაბამისად სამინისტროში ჩაგიტარდებათ გასაუბრება. გასაუბრება კონფიდენციალური ხასიათისაა. მიმდინარეობს თქვენთვის გასაგებ ენაზე. თარჯიმანის მომსახურება უფასოა და უზრუნველყოფილია სამინისტროს მიერ. გასაუბრებას შეიძლება დაესწროს გლუკი და თქვენი კანონიერი წარმომადგენელი.

გასაუბრებაზე უნდა წარმოადგინოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა წერილობითი დოკუმენტი, რაც ადასტურებს მომხდარს ან არსებითა თქვენი მოთხოვნის განხილვისთვის. შეგეკითხებიან თქვენი წარმოშობის ქვეყნის დატოვების და თავშესაფრის ძებნის მიზეზებს. რაც შეიძლება დეტალურად უნდა წარმოადგინოთ თქვენი სიტუაცია და მდგომარეობა.

გასაუბრებაზე საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა განიხილება როგორც სამინისტროს კანონიერი მოთხოვნისაგან თავის არიდება და გახდება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი, ხოლო ყალბი ინფორმაციის მინოდების შემთხვევაში დაკარგავთ სტატუსის მიღების უფლებას.

## გადანყვეტილების მიღების წესი

გადანყვეტილებას ლტოლვილის სტატუსის მინიჭების, უარის, შეწყვეტის ან ჩამორთმევის თაობაზე იღებს სამინისტრო.

რეგისტრაციის და გასაუბრების შემდეგ, განცხადების რეგისტრაციიდან 4 თვის განმავლობაში სამინისტრო შეისწავლის საქმეს და ამზადებს დასკვნას ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

✓ **თუ თქვენ მოგანიჭეს ლტოლვილის სტატუსი:** გადანყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში გექცევით დადგენილი ნიმუშის მოწმობა და ყოველწლიურად გადინხართ რეგისტრაციას.

**უფლება გაქვთ:** იცხოვროთ საქართველოს ტერიტორიაზე სამინისტროს მიერ საამისოდ გამოყოფილ ჩასახლების ადგილას(მათ შორის 6 თვის

განმავლობაში სამინისტროს მიერ თქვენი განცხადების რეგისტრაციისას გამოყოფილ დროებითი ჩასახლების ადგილას), დასაქმდეთ, მიიღოთ განათლება, ისარგებლოთ სოციალური შეღავათებით და კანონით გარანტირებული სხვა უფლებებით.

✓ **თუ თქვენ არ მოგანიჭეს ლტოლვილის სტატუსი:** გადანყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში წერილობით უნდა გეცნობოთ უარის მიზეზი.

**უფლება გაქვთ:** სამინისტროს გადანყვეტილება გასაჩივროთ კომპეტენტურ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში. თქვენ თავისუფლდებით ნებისმიერ ინსტანციაში განცხადების განხილვასთან დაკავშირებული გადასახადებისგან.

**საგა** გთავაზობთ უფასო იურიდიულ მომსახურებას და თუ თქვენი განაცხადი საფუძვლიანია, ასევე განახორციელებს სასამართლო წარმომადგენლობას გასაჩივრების პროცესში. გასაჩივრების პერიოდში არ შეიძლება თქვენი საქართველოდან გასახლება ან დეპორტაცია.

**თუ ვინმე გემუქრებათ ან ცუდათ გექცევით** სასწრაფოდ მიმართეთ ადგილობრივ პოლიციას, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საგას ან გლუკს.

## საკონტაქტო ინფორმაცია

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო**  
ვაჟა-ფშაველას პრ. №16,  
თბილისი, 0160, საქართველო  
ტელეფონი: +995 32 38 52 92  
ფაქსი: +995 32 38 47 92  
მიღების დღეები და საათები:  
ორშაბათი-პარასკევი 09:00-18:00

## გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

ყაზბეგის გამზირი №4,  
თბილისი, საქართველო 0160  
ტელეფონი: + 995 25 00 80  
ფაქსი: +995 32 44 13 02  
ელ-ფოსტა: [geotb@unhcr.ch](mailto:geotb@unhcr.ch)  
მიღების დღეები და საათები:  
ორშაბათი-პარასკევი 09:00-17:30

## საქართველოს გაეროს ასოციაცია

დოლიძის ქ. №2ა თბილისი, საქართველო 0171  
ტელეფონი/ფაქსი: 33 25 16 ან 33 52 16  
ელ-ფოსტა: [una@una.ge](mailto:una@una.ge)  
მიღების დღეები და საათები:  
ორშაბათი-პარასკევი 09:00-17:00

პოლიცია/სახანძრო: 022  
სასწრაფო: 03  
სატელეფონო ცნობარი: 09

მომზადებულია საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ გლუკის მხარდაჭერით

2005წ. დეკემბერი



**როგორ  
მოვიპოვოთ  
საქართველოში  
ლტოლვილის სტატუსი**

ნინამდებარე ბროშურა საინფორმაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს საქართველოში ჩამოსულ თავშესაფრის მაძიებლებს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები და ლტოლვილის სტატუსის მიღების პროცედურები. ცნება “ლტოლვილი” ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელსაც აქვს **საფუძვლიანი შიში** იმისა, რომ იგი შეიძლება გახდეს **დევენის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.**

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (სამინისტრო)** ერთადერთი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია გადანყვიტოს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი. თუ თქვენ ეძებთ თავშესაფარს საქართველოში უნდა მიმართოთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. მათი მომსახურება უფასოა.

**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (გლუკი)** ყოველმხრივ ცდილობს, ყველასთვის თანაბრად უზრუნველყოს უფლება ეძიოს და იპოვოს უსაფრთხო თავშესაფარი სხვა ქვეყანაში. ამავე დროს ლტოლვილებს ეხმარება სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებაში, თავშესაფრის ქვეყანაში ადგილობრივ ინტეგრაციაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში - მესამე ქვეყანაში გადასახლებაში.

გლუკი უშუალოდ არ მონაწილეობს ლტოლვილთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე გადანყვიტების მიღების პროცესში, რაც მხოლოდ საქართველოს მთავრობის პრეროგატივას წარმოადგენს. თუმცაღა გლუკი, როგორც ჰუმანიტარული ხასიათის ორგანიზაცია, თავშესაფრის მაძიებლებს და ლტოლვილებს შესაბამის საინფორმაციო და იურიდიულ დახმარებას უწევს. გლუკის მომსახურება უფასოა.

**საქართველოს გაეროს ასოციაცია (საგა)** არასამთავრობო ორგანიზაციაა, მჭიდროდ თანამშრომლობს გლუკთან და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან. ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივაა ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საქმიანობა. საგა ლტოლვილებს და თავშესაფრის მაძიებლებს უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დახმარებით, უწევს იურიდიულ კონსულტაციებს, აწარმოებს წარმომადგენლობას ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურის ყველა სტადიაზე, მათ შორის სასამართლოშიც, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის გასაჩივრების პროცესებზე. საგას მომსახურება უფასოა!

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაცია უზრუნველყოფს თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის და საბუთების კონფიდენციალურობას და გარანტიას იძლევა, რომ მასალები არ გადაეგზავნება თქვენი წარმოშობის ქვეყანას. საქმეში გამოიყენება თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციის ასლები, დედანი გიბრუნდებათ უკან.

**საქართველოში ცხოვრების დროს თქვენ ვალდებული ხართ დაემორჩილოთ საქართველოს კანონდებლობას.**

**ვინ არის ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი?**

საქართველოში ლტოლვილთა და ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა მდგომარეობას არეგულირებს “საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ,” მიღებული 1998 წელს.

აღნიშნული კანონის თანახმად, ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე

შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დატოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო.

**ლტოლვილის სტატუსის მისაღებად მიმართვის წესი**

თუ გსურთ მიიღოთ ლტოლვილის სტატუსი **პირადი** განცხადებით უნდა მიმართოთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.

სამინისტროს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გააცნოთ გადანყვიტების მიღების წესი და განგიმართოთ უფლებები და მოვალეობები.

რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ნერილობითი ინფორმაციის საფუძველზე შევსებული ანკეტა და თქვენს მიერ წარმოდგენილი პირადობის ან სხვა დამადასტურებელი საბუთები. სრულწლოვანმა პირებმა უნდა წარმოადგინოთ – პასპორტი, ან მისი არ ქონის შემთხვევაში სხვა პირადობის დროებითი მოწმობა, სამხედრო ბილეთი, მართვის მოწმობა. 16 წლამდე ასაკის ბავშვებზე - დაბადების მოწმობა.

საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის შემთხვევაში, როგორც ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირი ვალდებული ხართ, საზღვრის გადმოკვეთიდან **3(სამი)დღის** განმავლობაში განცხადებით მიმართოთ პირველივე ან უახლოეს სახელმწიფო ორგანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება დამსჯელი ღონისძიებები გათვალისწინებული სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დარღვევისთვის.

ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის გადანყვიტება მიიღება განცხადების შეტანიდან 3 დღეში. **თუ სამინისტრო გადანყვიტს თქვენს დარეგისტრირებას,** მოგეცემათ ცნობა მაძიებლად რეგისტრაციის შესახებ, რაც

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს 4 თვის განმავლობაში, საბოლოო გადანყვიტების მიღებამდე.

**თუ სამინისტრო განაცხადებს უარს თქვენს რეგისტრაციაზე,** 5 დღის ვადაში წერილობით მიიღებთ დასაბუთებულ პასუხს (ანუ განცხადების შეტანიდან 8 დღეში). გადანყვიტების გასაჩივრება შესაძლებელია 15 დღის განმავლობაში სამინისტროში, ან პირდაპირ თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ერთი თვის ვადაში.

როგორც ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირი არ შეიძლება თქვენი იძულებით დაბრუნება წარმოშობის ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც თქვენს სიცოცხლეს და თავისუფლებას საფრთხე ემუქრება. მიუხედავად ამისა, თუ თქვენ სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიიღეთ მოთხოვნა უკან დაბრუნების თაობაზე, სასწრაფოდ მიმართეთ სამინისტროს, გლუკს ან საგას.

ხოლო თუ ნებაყოფლობით გადანყვიტეთ სამშობლოში ან იმ ქვეყანაში დაბრუნება, საიდანაც შემოხვედით საქართველოს ტერიტორიაზე, უნდა მიმართოთ სამინისტროს და გლუკს.

თუ დარეგისტრირდით როგორც ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი, უფლება გაქვთ დასახლდეთ სამინისტროს მიერ მითითებულ დროებით ჩასახლების ადგილას და მიიყვანოთ შვილები სკოლაში. თუ სამინისტროს მიერ შემოთავაზებული საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გინდათ, ახალი მისამართი უნდა აცნობოთ სამინისტროს. სამინისტრომ ასევე შეიძლება მოგთხოვოთ სამედიცინო გამოკვლევის გავლა.